ოქმი №2

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი ბიუროს

სხდომისა

აბაშა, 2025 წლის 10 ნოემბერი

ოქმი №2

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2025 წლის 10 ნოემბერი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა პ. ხოშტარია
სხდომას ესწრებოდნენ:
ბიუროს წევრები: ზ. მაკალათია, მ. კვიტაშვილი, შ. ჯღარკავა, ზ. ნოდია, ზ. გუგუშვილი, დ. ცანავა, გ. ქოიავა, რ. კაჭარავა, ვ. ავალიანი და დ. ვერულაშვილი.

საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- საკრებულოს აპარატის უფროსი - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - თამაზ შოთაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

   მომხს. დ. ცანავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

   მომხს. დ. ცანავა

3. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

   მომხს. დ. ცანავა

4. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. დ. ცანავა

5. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 სექტემბრის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

6. აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების შესახებ.

მომხს. შ. ჯღარკავა

7. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. პ. ხოშტარია

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ საკრებულოს უფრაქციო წევრის გელა ლაბარტყავას მიერ შემოტანილია განცხადება საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში გაწევრების შესახებ. განმარტა, რომ აღნიშნული განცხადება განიხილა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ. მოთხოვნა შეესაბამება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში საკრებულოს უფრაქციო წევრებისთვის დადგენილ პროპორციული წარმომადგენლობის კვოტას.

ბიურომ ცნობად მიიღო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება- კომისია შალვა ჯღარკავას, პაატა ხოშტარიას, მურმან გუნიას, ზაზა ალასანიას, გიორგი პაპასკირის, იაგო თოდუას და გელა ლაბარტყავას შემადგენლობით.

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ საკრებულოს უფროსი წევრის გელა ლაბარტყავას მიერ შემოტანილია განცხადება საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიაში გაწევრების შესახებ. განმარტა, რომ აღნიშნული განცხადება განიხილა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ. მოთხოვნა შეესაბამება ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიაში საკრებულოს უფროსი წევრებისთვის დადგენილ პროპორციული წარმომადგენლობის კვოტას.

ბიურომ ცნობად მიიღო საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება- კომისია- გიორგი ქოიავას, როინ კაჭარავას, იასონ კიზირიას, ლეონტი ნადარეიშვილის, შოთა ჭანტურაიას, თორნიკე ესაკიას, იაგო თოდუას და გელა ლაბარტყავას შემადგენლობით.

3

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ საკრებულოს უფროსი წევრის გელა თოფურიას მიერ შემოტანილია განცხადება საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიაში გაწევრების შესახებ. განმარტა, რომ აღნიშნული განცხადება განიხილა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ. მოთხოვნა შეესაბამება სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიაში საკრებულოს უფროსი წევრებისთვის დადგენილ პროპორციული წარმომადგენლობის კვოტას.

ბიურომ ცნობად მიიღო საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება- კომისია ზაზა გუგუშვილის, პაატა ხოშტარიას, გიორგი მიმინოშვილის, სევერიანე ქოიავას, ანდრო ქვილითაიას, ვლადიმერ ავალიანის და გელა თოფურიას შემადგენლობით.

4

მოისმინეს:

,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ ბიუროს წევრებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დ. ცანავა.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

5

მოისმინეს:

,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 სექტემბრის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ ბიუროს წევრებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 სექტემბრის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 სექტემბრის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავა.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების შესახებ.

მომხს. შ. ჯღარკავა

მომხსენებელმა შ. ჯღარკავამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიში.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიში გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ა. კაჭარავა.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. პ. ხოშტარია

მომხსენებელმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა პ. ხოშტარიამ წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა მოწვეულ იქნეს 2025 წლის 11 ნოემბერს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 ნოემბრის მორიგი №2 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. პ. ხოშტარია

2. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. დ. ცანავა

3. აბაშის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების შესახებ.

   მომხს. ა. კაჭარავა

4. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 სექტემბრის №53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. დ. ცანავა

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: პაატა ხოშტარია